ალმოსავლური ხალიჩების ძიებაში

ჰერბერტ პოქსონის მოგზაურობა XIX საუკუნის კავკასიაში

ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი

ჰერბერტ კოქსონი, აღმოსავლური ხალიჩების ძიებაში: მათი ქსოვა და გრძელი გზა ევროპისკენ. ლონდონი, 1884

Herbert Coxon, Oriental Carpets: How They are Made and Conveyed to Europe with a Narrative of a Journey to the East in Search of Them, London, T. Fisher Unwin, 1884

ინგლისურიდან თარგმნა **ნათია მეჩითიშვილმა**
რედაქტორი: **გიორგი სორდია**
დიზაინი: **ნიკოლოზ ოსიპოვი**

ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM) არის დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც სწავლობს ეთნო-პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს, ეწევა საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობას და ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

© ნათია მეჩითიშვილი, გიორგი სორდია, 2019
© ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM), 2019

შინაარსი:

წინასიტყვაობა	3
მოგზაურობა ბათუმიდან საქართველოს დედაქალაქისკენ	5
მგზავრობა კასპიის ზღვაზე და ჩვენი ვიზიტი ბაქოში	12
აღმოსავლური ხალიჩების ბიზნები	17
აღმოსავლური ქარავნები და ხალიჩებით ვაჭრობა	24
ილუსტრაციები	29

წინასიტყვაობა

მე-19 საუკუნეში საქართველოს არაერთი ევროპელი მოგზაური, დიპლომატი თუ ვაჭარი სტუმრობდა, მათი ჩანაწერები კი მნიშვნელოვან და საინტერესო პირველწყაროს წარმოადგენს იმდროინდელი რეალობის, თუ ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. აღნიშნული ჩანაწერების დიდი ნაწილი უკვე თარგმნილია ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია ქართველი მკითხველისათვის, თუმცა ცალკეული ევროპელი ავტორების ნაშრომები და პუბლიკაციები, რომლებშიც გაშუქებულია მე-19 საუკუნის საქართველოს თავისებურებანი, ჯერ კიდევ უცნობია დაინტერესებული ქართული აკადემიური წრეებისათვის. ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის საქმიანობაში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოს და ზოგადად კავკასიის შესახებ ასეთი ნაკლებად ცნობილი ნაშრომების და სხვადასხვა პუბლიკაციების მოძიება, მათი თარგმნა და გასაჯაროება. აღსანიშნავია, რომ უკვე თარგმნილი და გამოქვეყნებულია ორი ნაშრომი. კერძოდ, ამანდ ფონ ლერხენფელდის და ჰენრი ნორმანის მოგზაურობის ჩანაწერები საქართველოს და კავკასიის შესახებ.

ამჯერად გთავაზობთ ინგლისელი მეწარმის ჰერბერტ კოქსონის ნაშრომის თარგმანს, რომელიც შეეხება მის მოგზაურობას აღმოსავლეთის ქვეყნებში. ჰერბერტ კოქსონის შესახებ მწირი ინფორმაციის მოძიება შევძელით. მისივე ნაშრომიდან ირკვევა, რომ ის ვაჭრობით ყოფილა დაკავებული. მისი მოგზაურობის მთავარ მიზანს კი წარმოადგენდა ინფორმაციის შეგროვება აღმოსავლეთის ქვეყნებში ხალიჩების წარმოების და მათი ევროპაში შესაძლო გატანის პერსპექტივების შესახებ. ავტორის მოგზაურობა დაიწყო ლონდონიდან და მოიცავს შავიზღვისპირეთს, საქართველოს და კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროებს. მოგზაურობის შედეგები ავტორმა წიგნის სახით გამოაქვეყნა ლონდონში, 1884 წელს სათაურით „აღმოსავლური ხალიჩების ძიებაში: მათი ქსოვა და გრძელი გზა ევროპისკენ“. წიგნი სამოცდათხუთმეტ გვერდიანია და ექვსი თავისგან შესდგება, რომელთაგან ვთარგმნეთ ოთხი თავი. საწყისი ორი თავის თარგმნა საჭიროდ არ მივიჩნიეთ, რადგან არ ეხება საქართველოსთან და კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

წიგნში ყურადღებას იქცევს თბილისის, როგორც მულტიკულტურული ქალაქის აღწერა. მკითხველისათვის ასევე საინტერესო იქნება კავკასიის რეგიონში ხალიჩების ქსოვის თავისებურებანი, ავტორის კომუნიკაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან და საქმიან პარტნიორებთან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფოტო-გრავიურები, რომლებიც წიგნს ერთვის. წიგნში სულ შესულია თერთმეტი ფოტო-გრავიურა, რომელთაგან წინამდებარე თარგმანს ერთვის ათი მათგანი, რომელთა უმეტესობაზე საქართველოს ხედები და ეთნოგრაფიული

ტიპაჟებია გამოსახული. თავად ავტორის ცნობით, გრავირება განხორციელდა ინგლისში, გრავიორ სმაილსის მიერ, ფოტოები კი მოგზაურობის დროს თბილისში იქნა შეძენილი, აქ მოღვაწე ფრანგი ფოტოგრაფებისაგან, თუმცა ავტორი მათ გვარებს არ ასახელებს.

წინამდებარე თარგმანში ასახული ფოტო-გრავიურების დიგიტალიზაცია განხორციელდა წიგნის ორიგინალი გამოცემიდან, რომელიც ინახება ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის ბიბლიოთეკაში.

გიორგი სორდია

ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის დირექტორი

მგზავრობა ბათუმიდან საქართველოს დედაქალაქისკენ

ამ თავში აღწერილია ბათუმი - ძველი სავაჭრო მარშრუტი, მოუწესრიგებელი კომერციული დაწესებულებები - თბილისისკენ მიმავალი რკინიგზა - საბაჟო კონტროლი - კავკასიის ხედები - მთავარი მთების მწვერვალები - ნადირობა და თევზაობა - ზუთხის ჭერის უცნაური ხერხი და პურის ცხობის პრიმიტიული საშუალება - თბილისი - მოსამსახურე თავადები - თბილისის ხედები - გერმანული დასახლება - თბილისის სასტუმროები და მისი პერსონალი.

ბათუმი თავისუფალი საპორტო ქალაქია, რომელიც რუსეთს ბერლინის ხელშეკრულებით გადაეცა. აქვეა განთავსებული სავაჭრო ნავსადგური, ღრმაწყლოვანი პორტი. ყურეს გარშემო თურქეთის საზღვრისპირა კავკასიის კლდეები არტყია, რომლებიც ქალაქს ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ნიავისგან საიმედოდ იცავს. ქალაქი ღარიბი და უსახური შესახედაობისაა თავისი ვიწრო, ბინძურ ქუჩებში ჩამწკრივებული ერთსართულიანი, ხისა და მზეზე გამომცხვარი აგურის სახურავებიანი სახლებით. რუსეთის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ მათი წყალობით შენდება ქალაქში ახალი ნაგებობები, რომლებსაც მეტწილად მაღაზიები და საცალო საწყობები შეადგენენ. ბოლო დროს ერთი ბაქოური სამეწარმეო ფირმაც გამოერია, რომელიც ნავთობის ბიზნესითაა დაკავებული. დიდი წინსლვლა იქნება თბილისის გავლით ბაქოსა და შავი ზღვის დამაკავშირებელი სარკინიგზო გზის გაყვანა, რომელიც ბათუმს კასპიის რეგიონის კომერციულ ბირთვად აქცევს. ამ როლს ადრე თავრიზი, ერზრუმი, ტრაპიზონი და კონსტანტინოპოლი ასრულებდა. ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობა დღესაც კი იგივე მარშრუტით ხორციელდება, რაც თავის დროზე პლინიუსის მიერ იქნა აღწერილი. ინდოელი ვაჭრები ბაქტრიაში ჩასვლის შემდეგ, გადაკვეთავენ კასპიის ზღვას მდინარე მტკვრის შესართავთან, საიდანაც ხუთდღიანი მგზავრობის შემდეგ მიაღწევენ მდინარე ფაზისს (რიონი), იქედან კი შავ ზღვას და ფოთს[1].

ამჟამად ბათუმის პორტში ტვირთის გადაზიდვას საკმაოდ ქაოტურად და უდისციპლინოდ უდგებიან, თუმცა წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების შედეგად იმედია გააცნობიერებენ და სათანადოდ დააფასებენ ბათუმის კომერციულ მნიშვნელობას და აღნიშნულ საკითხს მეტი გულისყურით მიუდგებიან. ანდა, შეიძლება დროთა განმავლობაში რუსეთმა სულაც შეცვალოს თავისუფალი პორტის პოლიტიკა და იმპორტზე საბაჟო მოსაკრებელი დააწესოს, თუ გა-

---

[1]ინდოეთთან სავაჭრო მარშრუტის შესახებ დამატებითი ცნობები იხილეთ მარვინის ნაშრომში „რუსები მერვსა და ჰერათში“ და მისი სტატია „რუსეთ-ინდოეთის სარკინიგზო გზა“ (ავტ. შენიშვნა)

ვითვალისწინებთ, რომ ამას უკვე ისედაც აკეთებს თითქმის ყველა უცხოურ საქონელზე, გარდა წვრილმანი ნივთებისა. რაც შეეხება ექსპორტს, ყველა ტვირთი, რაც კავკასიიდან რუსეთში იგზავნება, არ იბეგრება, თუკი წინასწარ მარკირებულია. ეს წესი არ ეხება საზღვარგარეთ გასაგზავნ ტვირთს.

დღეს უკვე თურქულ ფორტებს აღარ იყენებენ, მის მაგივრად რკინის ბარაკები ააშენეს სამხრეთ სანაპიროებზე, რომლებიც რუსი ჯარისკაცებითაა გადავსებული.

ბათუმის უჩვეულო ნიადაგის დამსახურებაა, რომ ამ მხარეში ლურჯი ვარდები ხარობს. კავკასიის სხვა ადგილებშიც სცადეს მისი მოყვანა, მაგრამ უშედეგოდ. გაშლილი, ჭაობიანი მიწის ვიწრო ნაპირს მიუყვება ახალი სარკინიგზო გზა, მაღალ მთებსა და სანაპირო ზოლს შორის მოქცეული. თავისი გარეგნობით იგი დიდ ნდობას არ აღძრავს, მაგრამ მოდით ეს რუსეთს დავუტოვოთ სადარდებლად. 26 აგვისტოს, კვირა დღეს გავუდექით გზას კავკასიის გავლით. ყველასთვის ცნობილია, რომ რუსი მესაზღვრეები თავიანთი დაუნდობელი და მკაცრი მოპყრობით გამოირჩევიან. კაციშვილი ვერ დატოვებს ბათუმს ისე, რომ მისი ბარგი გულდასმით არ შეამოწმონ. სადგურზე რომ მივედით სწორედ რომ ბარგს ამოწმებდნენ. დიდი ალიაქოთი იდგა. ჩვენს ვაგონამდე ძლივძლივობით გავიკვლიეთ გზა მოზუზუნე ბრბოს შორის, რომლებიც ერთმანეთს მჯიღებს ურტყამდნენ და უყვიროდნენ. მესაზღვრეები ყველა გლეხს აჩერებდნენ და ტანსაცმელს და ბარგს ისე გულდასმით უჩხრეკდნენ, თითქოს საშიშ კრიმინალებთან ჰქონდათ საქმე. საგულდაგულოდ შევარჩიეთ ერთი შეხედვით კომფორტული ვაგონი, რაც სინამდვილეში სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა და ზემოთ აღნიშნულში იმწამსვე დავრწმუნდით, როგორც კი წვიმა წამოვიდა, რომელიც ფანჯრის და სახურავის ღრიჭოებს ისე ატანდა, რომ მალე სავარძლები სულ მთლად დაალბო.

ვაგონები ამერიკული ყაიდისაა. ყოველი სადგურის დატოვების შემდეგ კბილებამდე თავით-ფეხებამდის შეიარაღებული დაცვის თანამშრომლები ჩამოივლიდნენ შესამოწმებლად. ისინი ვაგონის კლასებს არად დაგიდევდნენ და ყველა მგზავრს ერთნაირად ეპყრობოდნენ განურჩევლად რანგისა და სტატუსისა. აღნიშნული სარკინიგზო გზა მხოლოდ ერთი ლიანდაგისგან შედგება და იგი საოცრად ლამაზ პეიზაჟებს მიუყვება. მგზავრობა გაჭინაურდა, რადგან მატარებელი ბევრ ადგილას ჩერდება. ამას სურამის უღელტეხილი ემატება, რომელიც 4000 ფუტი სიმაღლისაა და მის გადასაკვეთად მატარებელს მეორე ძრავას უმატებენ. ეს დამატებით დროს მოითხოვს და პროცესიც კიდევ უფრო მეტად ჭიანურდება. სადგურების უმეტესობა ქვის ნაკეთობისაა და ყველგან დაგხვდებათ თითო მოკრძალებული სასადილო, სადაც საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასად შეიძლება დანაყრება. ყოველ გაჩერებაზე ადგილობრივი მოსახლეები მგზავრებს გა-

საყიდად გამოფენილი ნაირფერი სანოვაგით ეგებებიან. ჭრელთვალება ყმაწვილები და გოგონები მგზავრებს სთავაზობენ ხილს, პურს, შინაურ ფრინველს, ზაფხულის ცხელ ამინდში სანატრელ უზარმაზარ საზამთროებს, ყურძენსა და ცოცხალ ბატებს, და ეს ყველაფერი გროშის ფასად. სოფლელებს თავიანთი ღორებიც წამოუყვანიათ იმის იმედად, რომ უცხოელ მგზავრებს მიასაღებდენ.

კავკასიის მთები თვალწარმტაც და მუდმივად ცვალებად სანახაობას წარმოადგენს, მთა მთას ენაცვლება და მიღებულ შთაბეჭდილებას ვერაფერი უწინ ნანახი ან განცდილი ვერ შეედრება. შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული მთათა სისტემა 700 მილს აღწევს სიგრძეში, ხოლო სიგანეში - 100. ცაში აღმართული მთები მთელი წლის განმავლობაში ბზინვარებენ. ვისაც დარიალის უღელტეხილი გადაუკვეთავს, მათ კარგად მოეხსენებათ მთა ყაზბეგი, რომლის სიმაღლე 16 546 ფუტს აღწევს, დიხთაუ - 16 925, ყოშთანთაუ - 17 000 და იალბუზის მთა - 18 500. მშვენიერი მიწა ათასობით მილის სიგრძეზეა გაშლილი, სრულიად ველური და დაუმუშავებელი, სადაც მრავლად ხარობს ფიჭვი, იფანი, თელა და წიფელი.

დაუნდობელი ტყის ჩეხვის შედეგად მუხის რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. აქ განფენილი ველები სავსეა აღუწერელი რაოდენობის და ფასდაუდებელი ნედლი წიაღისეულით, რომლებიც ჯერ კიდევ აუთვისებელია.

მთავარი მდინარე რიონი ფოთში შავ ზღვას უერთდება, ხოლო მეორე დიდი მდინარე მტკვარი კასპიის ზღვამდე მიედინება ყუბანის, ყოისუს და სხვა მდინარეებთან ერთად.

კავკასიის ხალხები აღნაგობით არ დაიწუნებიან. ვის არ ნახავთ აქ - ქართველები, მეგრელები, იმერლები, გურულები, ჩერქეზები, აფხაზები, ყაბარდოელები, ლეზგები, დაღესტნელები და თურქულ-თათრული წარმოშობის სხვა ტომები. ქართველები პირველები დანებდნენ რუსეთს, მაშინ როცა სხვა ხალხები, განსაკუთრებით კი ჩერქეზები და ლეზგები გმირულად უწევდნენ წინააღმდეგობას, რისი წყალობითაც იყო, რომ 1864 წლამდე შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა. თუმცა კავკასიის ხალხები ახლა მორჯულებულები არიან და რუსეთის მიმართ მათმა ლოიალურობამ რუსეთს მათთვის სამხედრო ვალდებულების დაკისრებაც კი გააბედინა.

მათი ეროვნული სამოსი მსგავსია და ხალათს იგივე ჩოხას ეძახიან. წელზე ვერცხლით გაწყობილი ქამარი არტყიათ, სადაც ხმალი, რევოლვერი ან ტყავის სასმისი აქვთ დამაგრებული, მხარზე კი ვაზნების ჩასაწყობი აქვთ გადაკიდებული. გლეხები მიწას ამუშავებენ და თავის სამყოფ საკვებს თვითონვე გამოიმუშავებენ. იქ, სადაც მიწა ბატონს ეკუთვნის, გლეხი მოსაკრებელს მოსავლის სახით უხდის პატრონს. როგორც წესი, ეს მთლიანი მოსავლის მესამედს ან მეოთხედს შეადგენს. ხელსაყრელი და კომფორტული საცხოვრებე-

ლი პირობების გამო კავკასიის ხალხები ძალიან გაზარმაცებულები არიან.

სანადიროდ ისინი მეძებარ ძაღლებსა და შევარდენებს იყენებენ. თევზაობისას კი სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ და ყველა მათგანი თავისებურად საინტერესოა. მაგალითად, ზუთხის დასაჭერად მდინარის ან არხის გასწვრივ ძუას გაჭიმავენ, სადაც იარდის დაშორებით კაუჭებია დამაგრებული, კაუჭის თავზე კი ნესვი ან გოგრა ტივტივებს თევზის მისატყუებლად. სულწასული თევზი ხილს მიეტანება და წასულია მისი საქმე. იგი კაუჭაზე ჩამოცმული რჩება მანამ, სანამ მეთევზე მოვა და ძუას გაათრევს სანაპიროზე, იქ კი სარზე ჩამოცმული თევზე ელოდება თავის კლიენტს.

ნაცრისფერი კალმახის დასაჭერად ისინი ჭილოფს იყენებენ, რომლის ერთი მხარე აწეულია ისე, რომ ჩრდილი წარმოქმნას. ჩრდილის დანახვაზე თევზი ინსტიქტურად ზევით ხტება, რათა მას თავი აარიდოს, სინამდვილეში კი ბადეში ამოყოფს თავს. სხვა დანარჩენ შემთხვევებში მეთევზეები მარტივ ბადეს იყენებენ სათევზაოდ, რომლის შუაგული სარით არის ფსკერზე დამაგრებული. გარკვეული დროის შემდეგ ბადეს იღებენ წყლიდან იმ იმედით, რომ იქ თევზები იქნება მოყოლილი. ეს ერთობ პრიმიტიული ხერხია და, უნდა ითქვას, მაინცდამაინც წარმატებული არაა.

მთაში უთვალავი სიმინდი მოყავთ. ლამის 10 ფუტი სიმაღლის სიმინდის ტაროები ვნახე. სიმინდი ერთ-ერთ მთავარ საკვებს წარმოადგენს ადამიანებისათვის, ცხოველებისა თუ შინაური ფრინველებისათვის. თუმცა ვაღიარებ, როცა მისგან ნამცხვრებს ამზადებენ, ან რძეში ალბობენ, ძალიანაც გემრიელია. კავკასიის ხალხები ცხობის პრიმიტიულ ხერხს მიმართავენ. კერძოდ, გლუვ ქვაზე ცეცხლს დაანთებენ, როცა ქვა გაცხელდება, მასზე მწვანე ფოთლებში გახვეულ ცომს დებენ და ზევიდან ცხელ ნაცარს დააყრიან მანამ, სანამ ცომი გამოცხვება. ფოთლები დაწვისაგან იცავს ცომს.

კავკასიაში ასევე დიდი რაოდენობით სელი, აბრეშუმი და თამბაქო მოყავთ. ხოლო იმის შემხედვარეს, თუ როგორ მიერეკება გლეხი გუთანში შებმულ ხარს, თვალწინ აუცილებლად დაგიდგებათ ბიბლიური სცენები. ღვინო ასევე ულევია, და თან იაფი. მათ ტყავის ტიკებში ინახავენ, საიდანაც პირდაპირ ქუჩებში ყიდიან. ადგილობრივებს თუ დავუჯერებთ, ნამდვილ ღვინოს სწორედ რომ ტყავის გემო უნდა დაკრავდეს, მაგრამ თქვენ მონა მორჩილს თუ ჰკითხავთ, ღვინოს დაყოლილი ღორის ტყავის გემო მაინცდამაინც სასიამოვნო არაა.

აქაური ურმები ხისგანაა ნაკეთი და ორი ბორბლისგან შედგება. ურმის წინა ნაწილი ხარზეა მიმაგრებული.

ფოთის და ბათუმის სარკინოგზო გზა სამტრედიაში ხვდება ერთმანეთს და იქიდან თბილისისკენ მიემართება. აქედან სულ ახლოსაა ქუთაისი, ძველებურად კოლხეთად მოხსენიებული, სადაც ბერ-

ძენი იაზონი ოქროს საწმისს გაშმაგებით დაეძებდა. სამტრედიასა და თბილისს შორის თვალწარმტაცი და რომანტიკული ბუნებაა გადაჭიმული. მატარებელი ზანტად მიემართება სურამის მწვერვალისკენ, მაგრამ ჩვენ არ გვეჩქარება, პირიქით, ვტკბებით პეიზაჟით. სურამის უღელტეხილის ახლობლად მიმოფანტულ უძველეს ციხესიმაგრეებს თვალს ვერ ვწყვეტთ. მათ შორის მაინც ყველაზე საინტერესო მცხეთის ციხესიმაგრეა, სადაც უხსოვარ დროში ქართველი მეფეები ცხოვრობდნენ. ფართე და ნაყოფიერ ველზე გაშლილი გორის ციხესიმაგრეც მშვენიერი სანახავი იყო. აქა-იქ გზად საზაფხულო კარვები გვხვდებოდა, სადაც რუსი ჯარისკაცები ცხოვრობდნენ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო სურამის უღელტეხილის იქით. თბილისის მხარეს ბევრი ქოხი დავლანდეთ. უცნაური ის იყო, რომ ისინი მორებზე დაუშენებიათ და ამგვარად პირდაპირ მდინარესთან დაუკავშირებიათ. ასეთი ქოხები აქაურობისათვის დამახასიათებელ საცხოვრებელს წარმოადგენს. გზად ზანტად მიმავალი, აქლემების საოცარი ქარავანი შემოგვხვდა. ვნახეთ ასევე ცხენოსანთა ჯგუფი, სადაც ქალები მხედარ მამაკაცებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ და ამორძალებივით მიაგელვებდნენ ცხენებს. თბილისამდე არმისულებმა, მაღლობ მთებზე გამოქვაბულები დავლანდეთ, სადაც, როგორც გვითხრეს, განდეგილები ცხოვრობდნენ.

15 საათიანი მგზავრობის შემდეგ თბილისს ჩავაღწიეთ და რა დასამალია, დიდი სიამოვნებით მოვისვენეთ სასტუმროში. თბილისი საქართველოს დედაქალაქია, ერთ-ერთი უძველესი სამთავრო მსოფლიოში, სადაც ჯერ კიდევ შეხვდებით თავადებს, რომლებიც მეფე დავითის შთამომავლობაზეც კი სდებენ თავს. თუმცა კეთილშობილური შთამომავლობა სულაც არ ნიშნავს სიმდიდრეს. ბევრი მემამულე ხელმოკლედ ცხოვრობს და მათი მოსამსახურედ დაქირავება თვეში სულ რამოდენიმე ფუნტის საფასურადაა შესაძლებელი. ქალაქი ყველაზე ლამაზად ბოტანიკური ბაღიდან მოჩანს, რომელიც სარკინიგზო ხაზის აღმოსავლეთ მაღლობებზეა გაშენებული. ქალაქს მდინარე მტკვარი კვეთს, რომელიც კასპიის ზღვაში ჩაედინება. აქა-იქ გამწვანება შეიმჩნევა, ისე კი მთლიანობაში თბილისის შემოგარენი ხრიოკი ადგილია და ამ მაღალ, უნაყოფი მაღლობებს თუ დავუკვირდებით, კაცს ეგონება, ამ ველურ ბუნებაში ეს ლამაზი ქალაქი ვიღაცას შემთხვევით დავარდნიაო. ზაფხულში მაღლობებიდან სიოს ჩამოყოლილი თეთრი მტვერი ცხოვრებას თბილისში გაუსაძლის ხდის.

არქიტექტურას რაც შეეხება, ქალაქი აზიურისა და ევროპულის სიანტერესო ნაზავს წარმოადგენს. ჩემი საქმიანობა უმეტესწილად აზიურთანაა დაკავშირებული, ამიტომაც ამ მხარის უკეთ შესწავლის საშუალება მქონდა. ქალაქის აზიურ ნაწილში სახლები ტალახისა და ხისგანაა ნაკეთი. ბაზარში გამოლაგებულ დახლებს სპარსელები, სომხები და ქართველი ებრაელი ვაჭრები დასტრიალებენ გულუბ-

რყვილო მუშტრის გამოჭერის იმედით. ვერცხლის რიგი ყველასთვის ნაცნობი ქუჩაა, სადაც სომეხ ვაჭრებს თავიანთი ხელთნაკეთი ვერცხლეული გამოუფენიათ გასაყიდად. აქ ნახავთ მაღალი ხარისხის, დიდი ოსტატობით დამუშავებულ მოვერცხლილ სარტყელებს, ხანჯლებს, დაშნებს და ქართული სამკაულის, იარაღისა თუ ანტიკვარი ნივთების ათასგვარ უჩვეულო და იშვიათ ნიმუშს.

ქალაქის ფერდობზე ჯერ კიდევ თურქების ბატონობის დროს აღუმართავთ ერთ-ერთი მთავარი ქართული ციხე-სიმაგრე. იგი მთელ თბილისს გადმოსცქერის ამაყად და მის მოპირდაპირედ მდებარე ბერძნულ მონასტერს[2] არაფრით ჩამოუვარდება, არც აღნაგობით, არც ცნობადობით. ორივე შთამბეჭდავი და თვალწარმტაცი შესახედაობისაა. თბილისი რუსეთის მმართველობის ქვეშ მყოფი ერთიანი კავკასიის გუბერნიის საშტაბო ქალაქად ითვლება. იგი ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიად იყოფა. პირველი რუსეთის ევროპულ ნაწილში მდებარეობს, მეორე კი აზიურში. კავკასიის გუბერნიას კიდევ ცალკე პროვინციებად ყოფენ, კერძოდ ყუბანი, აფხაზეთი, ქუთაისი, საქართველო, დაღესტანი, ყარსი, ერევანი, ელიზავეტოპოლი[3] და ბაქო. ამ მხარეში 200 000 კაციანი არმიაა გამაგრებული წესრიგის დამყარება-შენარჩუნების მიზნით.

თბილისის აღმოსავლური და ევროპული ნაწილი დიდ კონტრასტს ქმნის, თუმცა ამით ქალაქის მშვენიერებას არაფერი აკლდებოდა, პირიქით, თუ არ ემატება. ვიწრო, სპარსული ბაზრებიდან მგზავრი მოულოდნელად ქალაქის რუსულ ნაწილში აღმოჩნდება, სადაც უჩვეულოდ ფართე ქუჩებში ევროპული ყაიდის სახლებია აღმართული და მეეტლეები ფაეტონებით ელვისებური სისწრაფით დააქროლებენ კოხტა და გამოპრანჭულ მგზავრებს. თბილისში მრავლადაა ე.წ განცხრომის ბაღები, რომელსაც აუცილებლად უნდა ესტუმროთ, თუ გსურთ საკუთარი თვალით იხილოთ ქართველი ქალის მშვენიერება. მე ბევრი მათგანი შემომხვდა ბათუმიდან მომავალ გზაზე, მაგრამ ისინი უკვე, რაღა დაგიმალოთ და, ასაკში შესულები იყვნენ და თავიანთი სილამაზეც წარსულში მოეტოვებინათ. ქართველი ქალის გარეგნობაში განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მათი მუქი, წყლიანი თვალები და მაცდური ტუჩ-კბილი, თუმცა მათ სილამაზეს ჩრდილს ჰფენს არწივისებური ცხვირი. უჩვეულო სილამაზისაა ქართველი ქალის სამოსი, რომლის განუყოფელ ნაწილს უცნაური ფატა შეადგენს. იგი უხვად მოქარგული გვირგვინისგან შედგება, საიდანაც ქალის მხრებს ნაზად ეფინება თეთრი, გამჭვირვალე საბურველი. ნახშირივით შავ თმას ორ ნაწნავად დაატარებენ.

თბილისი გოგირდის ბუნებრივი ცხელი წყაროებითაცაა ცნობილი. მიწიდან მოჩუხჩუხე სამკურნალო წყლის ტემპერატურა 79-124 გრადუსს შორის მერყეობს და როგორც ამბობენ უამრავ დაავადებას

---

[2]ავტორი სავარაუდოდ მეტეხის მონასტერს გულისხმობს (რედ.)
[3]ქალაქი განჯა თანამედროვე აზერბაიჯანში (რედ.)

შველის. ქალაქში მრავლად ნახავთ მეჩეთსა და ეკლესიას, თუმცა ქალაქის მთავარ მშვენებას მისი კათედრალი წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია, რომ ქალაქის ერთ ნაწილში სომხებმა ბამბის წისქვილი ააშენეს. ქალაქის დიდი ნაწილი უკავია გერმანულ უბანს - კოლონიას[4] , სადაც ტრადიციული გერმანული სამოსი და ადათ-წესები ჯერ კიდევ შემონახულია. ზაფხულობით ქუჩის ხეებს მასიურად რწყავენ, ამის გარეშე ქალაქში არსებული მტვრისა და წყლის ნაკლებობის გამო ისინი გახმებოდნენ. რუსეთში მიღებულია სახლში ღამის დარაჯის ყოლა. მათ თბილისშიც მრავლად ნახავთ. დარაჯებად ძირითადად თათრებს ქირაობენ, მათ სახლის წინ პირდაპირ ქუჩაში სძინავთ. ზოგისთვის ხის სკამი დაუდგამთ სახლის წინ და ეს უკვე ფუფუნებად ითვლება, უმრავლესობა ამის გარეშეც ყაბულსაა.

თბილისში სამი შედარებით კარგი სასტუმროა, აქედან ერთი დაკეტილი დაგვხვდა. სასტუმროს მეპატრონე, რომელშიც ჩვენ გავჩერდით ფრანგი იყო. მან მშვენივრად ისარგებლა არსებული მდგომარეობით და ფასები საგრძნობლად გაზარდა, რაც არც მანამდე უნდა ყოფილიყო მოკრძალებული. სასტუმროს წელმოწყვეტილი მომსახურე პერსონალიც მეპატრონის მაგალითს მიჰყვებოდა და ერთი პატარა ჩანთის აწევაშიც, რაშიც მათი მთელი ჯგუფი მონაწილეობდა უტიფრად ითხოვდა ფეხის ქირას.

თბილისის გულდასმით დათვალიერების შემდეგ ბაქოსკენ გავემართეთ. მქუხარე წვიმამ და ავდარმა გაგვაცილა.

---

[4]გერმანელების ჩამოსახლება საქართველოში 1817 წლიდან იწყება, მათი დიდი ნაწილი ვიუტენბერგელი შვაბები იყვნენ. დასახლებები, ანუ კოლონიები შეიქმნა როგორც თბილისში, ასევე სამხრეთ საქართველოში. მათ შორის აღსანიშნავია ნოი-ტიფლისი (აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე ტერიტორია), კატარინენფელდი (ბოლნისი), მარიენფელდი (სართიჭალა), ელიზაბეტთალი (ასურეთი), და სხვა. (რედ.)

მგზავრობა კასპიის ზღვისკენ და ჩვენი ვიზიტი ბაქოში

ბაქოს ქუჩები- სასტუმრო ლონდონი - ღამე ბაქოს შეშლილ გამოქვაბულში - ჩემი წამება - ხელსახოცი -ჩემი მოთმინების უკანასკნელი წვეთი და სასტუმროს მიტოვება - ბაქოს აღწერა - სასაფლაო - ჩემი გამოჩენით განაწყენებული მუსლიმი - ბაზრები - ბაქოს ცეცხლთაყვანისმცემლები - ნავთობ-ჭაბურღილები - ახალი ზეთის საწვავი და მისი გამოყენების გზები - ბაქოს ნაკლოვანებები - ქალაქის ციებ-ცხელება.

თბილისიდან ბაქომდე მგზავრობა, მსუბუქად რომ ვთქვათ, უინტერესო იყო. თბილისის დატოვებისთანავე კავკასიასაც სტოვებს თავისი მიმზიდველობა და ეშხი, დიად მთებს უსახური ბორცვები ანაცვლებენ, სამხრეთით გადაჭიმულია გულისგამაწვრილებლად მოსაწყენი ველი აქა-იქ კანტიკუნტად შემორჩენილი ხეებით, რომელიც მგზავრს ღლის და ლამის დეპრესიაში აგდებს. ასეთი ხეები იმის ნიშანია, რომ სიახლოვეს სოფელია გაშენებული, ნაყოფიერი ნიადაგით, რომელსაც ბარაქიანი მოსავლისთვის მხოლოდ სარწყავი სისტემა სჭირდება. ზოგან მარილიანი ტბებია, კასპიის შორიახლოს კი ბორცვებს ვულკანური გარეგნობა აქვთ. გავიარეთ ელიზავეტოპოლი და შემახა, შემდეგ ალაიატი, რომელიც ბაქოდან 3 საათის სავალზეა და სწორედ იგი წარმოადგენს კასპიის საწყის წერტილს. ბაქოში საღამოს 8 საათზე ჩავედით, ანუ თბილისის დატოვებიდან 22 საათში. ბაქოს რკინიგზის მშენებლობა ჯერ დასრულებული არ იყო, ამიტომაც ქალაქამდე მისასვლელად კიდევ გვარიანი მანძილის გავლა მოგვიწია. ღამის გასათევად სასტუმრო ლონდონი გვირჩიეს, რომელიც საუკეთესო სასტუმროდ ითვლებოდა და მოიხსენიებდნენ, როგორც Hotel de Londre-ს, ამიტომაც გეზი პირდაპირ იქით ავიღეთ და ჩვენ თათარ მეეტლესაც შესაბამისი ინტრუქციები მივეცით. კლდე-ქვით სავსე გაუკვალავ გზაზე სიარულისას ეტლი ისე ინჯღრეოდა, ცოტა უკლდა, რომ ძირს არ გადმოვეყარეთ, საბოლოოდ უსახო და ბნელი ქუჩების გავლით მივაღწიეთ ასეთივე შენობას დაბალი და ბნელი შესასვლელით. ეს იყო სასტუმრო ლონდონი. სასტუმროდან გამომავალმა სასიამოვნო მელოდიამ მხნეობა შეგვმატა და იმედიანად შევაბიჯეთ შენობაში, თუმცა პატარა, ბინძურ და აყროლებულ ოთახებში რომ დაგვაბინავეს, სასო ისევ წაგვერთვა, მაგრამ უკვე გვიანი იყო საიმისოდ, რომ სხვა სასტუმრო მოგვეძია, თანაც არც გვქონდა საფუძველი გვეფიქრა, რომ ქალაქში უკეთესი ღამისგასათევი მოიძებნებოდა. ბედს შევეგუეთ და მომსახურე პერსონალს ვთხოვეთ ჩვენი ბარგი ამოეტანა ოთახებში. ასე დავიდეთ ბინა სასტუმრო ლონდონში. ჩვენი სასტუმრო არც მთლად „წესიერი“ დაწესებულება აღმოჩნდა. იქვე განთავსებულ საბანკეტო დარბაზში ქალები მღეროდნენ, კაცები სიმებიან ინტრუმენტებზე უკრავდნენ, პერიოდულად კი სიმ-

ღერას აყვებოდნენ. დარბაზში შესვლა უფასო იყო, იმ პირობით, რომ იქ რაიმეს შევუკვეთავდით და როდესაც რომელიმე მომღერალთაგანი ქუდით ჩამოივლიდა, გარკვეულ თანხასაც გავიღებდით. მუსიკოსები დაწესებულების პერსონალში ითვლებოდნენ და ცხოვრებითაც სასტუმროში ცხოვრობდნენ, თუმცა ჯობია დეტალებისგან თავი შევიკავო და მაინცდამაინც არ ჩავეძიო, თუ რა გზით აკავებდა და „არჩენდა“ სასტუმროს მეპატრონე ლამაზმან მომღერლებს. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ამგვარი დაწესებულებები ბაქოში მრავლადაა და მათ უმეტესწილად ადგილობრივები განაგებენ, ვიდრე შემთხვევითი ჩამომსვლელები.

ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილ-დაქანცულმა დარბაზი მალევე დავტოვე და ჩემს ოთახს მივაშურე იმ იმედით, რომ კარგად მოვისვენებდი, მაგრამ ვაი რომ იმ ღამეს ძილი არ მეწერა. რამოდენიმე წუთში მწერებით და მკბენარებით ალყაშემორტყმული წამოვხტი საწოლიდან. მთელ ღამეს გაგრძელდა ამ უსულგულო მწვალებლებთან ჩემი ბრძოლა. მწერების საწინააღმდეგო საშუალების დაყრის შემდეგ, მეგონა, ბოლოსდაბოლოს, ძილიც მეღირსებოდა, მაგრამ ვაგლახ რომ არა, დარბაზიდან მომღერალი გოგონების სიმღერის ხმა აღწევდა, რასაც აუდიენციის ტაში და გნიასი მოყვებოდა.

როდესაც ყველაფერი მიწყნარდებოდა და მეც საძილედ ვემზადებოდი, სწორედ მაშინ დამაჯდებოდა კოღო ცხვირზე და ბზუილს იწყებდა, მისი მოგერიების მერე მცოცავი რწყილი გამახსენებდა თავს ბწკენით და წამომაგდებდა საწოლიდან. მარტორქის კანი უნდა ჰქონოდა ადამიანს, ამ ყველაფრისთვის რომ მშვიდად გაეძლო.

გათენდა თუ არა, ბუზების ბზუილმა ბოლო მოუღო ჩემს თვლემას და საბოლოოდ გამომაფხიზლა. კასპიის რეგიონში ყოფნისას სიცოცხლე გამიმწარეს ამ არამზადა არსებებმა. ყოველ ღამით მთელს ტანსა და საწოლზე ვიყრიდი მწერებსაწინააღმდეგო პუდრას, თავსაც მარლით ვიხვევდი, მაგრამ ჩემმა ყოველმა მცდელობამ უკვალოდ ჩაიარა. როგორც თაფლი ფუტკარს, ისე ვიზიდავდი რწყილებსა და ბუზებს და ფეხით-თავამდე ერთიანად დაკბენილი ვიყავი. ჩემს ერთადერთ შვებას იმაზე ფიქრი წარმოადგენდა, რომ ადრე თუ გვიან კბენის დროს მიღებული საწამლავი მათაც ბოლოს მოუღებდა. მეორე დღეს სასტუმროს უკეთ დათვალიერების საშუალება მომეცა, შენობის ცენტრში ბაღი იყო, რომლის ზევით აივანი გაჭიმულიყო. ზემოდან ჩამოშვებულ მილს მთელი დაწესებულების ბინძური წყალი ეზოში ჩამოჰქონდა, და სწორედ რომ ჩემი ოთახის მოპირდაპირე მხარეს აგუბებდა.

ყავის მოლოდინში ვაკვირდებოდი ზოზინა მიმტანს, რომელიც თავს დავდებ და, მსოფლიოში ყველაზე ნელი მიმტანი იყო. მან დიდი რუდუნებით გადაწმინდა ლუდდასხმული მაგიდა, მოხვეტა სიგარეტის ფერფლი, შემდეგ ტილო მოუსვა დამტვერილ სკამებს, გაიწმინდა ხელები, მოიხოცა ცხვირი, სიყვარულით გაწმინდა სარდაფიდან ამოტა-

ნილი ჭუჭყიანი ღვინის ბოთლები, გააპრიალა ჩაშავებული ფანჯრის მინები, და შემდეგ ასეთივე წმინდანის სიმშვიდით, იგივე ხელსახოცით „გამოაპრიალა“ ის ფინჯანი, სადაც ჩემი ყავა უნდა დაესხა. ამან ბოლო მომიღო. მე იქ გამჩერებელი აღარ ვიყავი. ნაჩქარევად ავიბარგე და სხვა სასტუმროს მოსაძებნად გავეშურე. ასე აღმოვჩნდით სასტუმრო ევროპაში, ანუ Hotel d’Europe-ში, სადაც ასატანად სუფთა ოთახები დაგვხვდა, და არც ის აღვირახსნილი მუსიკალური წარმოდგენები იმართებოდა, რომელიც ღამით დაძინების საშუალებას არ გვაძლევდა წინამორბედ სასტუმროში.

ბაქო ძველი სპარსული ქალაქია, რომელიც რუსეთმა ხელთ ამ საუკუნის დასაწყისში ჩაიგდო. იგი კასპიის ყურეში მდებარეობს. ქალაქის ძველი ნაწილი სპარსული ციხე-სიმაგრეებითაა გარშემორტყმული, რომლებიც თითქმის ათი ფუტის სისქის შიდა და გარე კედლებისგან შედგება. კედლების შიგნით შემაღლებულ ადგილას წამომართულა კოშკი, რომელიც ნავსადგურს გადაჰყურებს. კოშკზე სამი საგუშაგოა მოწყობილი, რომლებიც თავისი მასიურობით ჩვეულებრივ მუსლიმთა მინარეთებს სჯობნიან, ერთ-ერთი მათგანი კი ნავსადგურის შუქურის როლსაც ასრულებს. მთის ჩრდილოეთ ფერდობზე მოზრდილი სასაფლაოა განთავსებული, რომელიც სამხრეთიდან დასავლეთისკენ ქალაქის ე.წ არაბული ნაწილისკენაა გადაჭიმული. სასაფლაოდან გზა ჩადის, რომელიც საფლავის ქვებით გარშემორტყმულ ოთხკუთხა მოედანზე წყდება. ამ მოედანზე სავაჭროდ წამოსული ქარავანები ისვენებენ ხოლმე. მე შევსწრებივარ ქარავნებს, რომლებიც ორმოცდაათიოდე აქლემს მაინც ითვლიდა. ვაჭრობა-მეწარმეობა ბაქოში სწორედ ამ გზით - ქარავანებით შემოდის, შემდეგ კი გზას რკინიგზით აგრძელებს შავი ზღვისკენ. სასაფლაო თანაბრად იტევს ქრისტიანებს, სომხებს და სპარსელებს, თუმცა მე ვერსად ვნახე მათი გამყოფი ხაზი. ერთადერთი განმასხვავებელი და ამავდროულად მისახვედრი ნიშანი იყო საფლავის ქვა და მასზე დატანებული წარწერა. საფლავის შორიახლოს სიარულისას დავინახე მეტად უცნაური ჭის მსგავსი წყარო. კიბეებით ჩამავალ ორმოში წყალი იყო ჩაგუბებული და იქვე არხეინად მჯდარი მუსლიმი სავარცხლით იფხანდა გადაპარსულ თავს. ჩემი ცნობისმოყვარე მზერა რომ დაიჭირა, იგი საშინლად გაბრაზდა და რაღაც დამიყვირა. მივხვდი რა, რომ ჩემი ნიშნებით ვერას გავაგებინებდი და დაწყნარების მაგივრად შეიძლება კიდევ უფრო გამეხელებინა, იქაურობას უჩუმრად გავცილდი. კედლებს შორის მოქცეულია ბაზრები. ბაზრებში მიმოფანტულია კვადრატის ფორმის დახლები, რომლებიც სიდიდით ჩვენებური ინგლისური აგარაკის საძინებლის საგარდერობეს გაუტოლდება. ვის არ ნახავთ ამ ბაზარში, სპარსელს, მუსლიმებს და სომეხ მეხალიჩეებს, აბრეშუმისა და სხვა მოდური საქონლის გამყიდველებს, ასევე ვერცხლის, მონეტებისა თუ სხვა წვრილმანის გამყიდველებს. ისინი მთელ დღეს ერთად ატარე-

ბენ უსაქმურობასა და პერიოდულ თვლემაში. ბაზარში შესული სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, როცა აღმოვაჩინე, რომ გამყიდველები გულს არ გიწყალებენ თავიანთი საქონლის ქებით და არც მათ ყიდვას გაძალებენ, როგორც ეს თბილისში, ვერცხლის რიგში ხდებოდა, სადაც ყველა მხრიდან მოყაყანე ბრბო ამოსუნთქვის საშუალებას არ გაძლევდა. კედლებს მიღმაც ბაზრებია, მაგრამ იქ უკვე შინაური ცხოველები, ხილ-ბოსტნეული და სხვა ამდაგვარი საქონელი იყიდება. ეხლახანს ახალი სანაპირო გააშენეს და უამრავი ყაზარმა ააშენეს რუსი ჯარისკაცებისათვის. ოდესმე თუ ინგლისი და რუსეთი ერთმანეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმევიან, ბაქო რუსეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტი იქნება ინდოეთზე გასალაშქრად. ბაქო აფშერონის ნახევარკუნძულზეა გაშენებული. იგი 100 მილის ოდენა ტერიტორიას შეიცავს, რომელიც წყლისგან მთლიანადაა დაცლილი, ჭიდან ამოტუმბულ წყალს თუ არ ჩავთვლით. ხის ნასახს ვერსად შეხვდებით, მაგრამ ცოტაოდენი ხორბალი, ქერი, სიმინდი და ხილი მაინც მოყავთ ირიგაციის შედეგად.

უხსოვარ დროში ბაქო ცეცხლთაყვანისმცემელთათვის წმინდა ადგილს წარმოადგენდა და წინა წელსაც იყო შემთხვევა, როცა მორწმუნეებმა ბაქოდან სულ რამოდენიმე მილის დაშორებით ისევ ააგიზგიზეს წმინდა ცეცხლი. არ დაგვავიწყდეს, სამხრეთ სპარსეთსა და ინდოეთში ჯერ კიდევ არსებობენ ცეცხლთაყვანისმცემლები.

ბაქოში ასევე მრავლად შეხვდებით უჩვეულო რუსულ სექტას, რომლის წევრები თავს გამიზნულად ისახიჩრებენ. მათ ბაქოს მთლიანი ქუჩები უკავიათ და ძირითადად მცხობელობით ირჩენენ თავს. საღამოობით მათ დაინახავთ თავინთი საცხობის წინ, სკამზე ჩამომსხდარებს, ერთმანეთთან ბაასში გართულებს.

მაგრამ ბაქოს მთავარ საუნჯეს მისი ნავთობის წყაროები წარმოადგენს. მთავარი ნავთობ-ჭაბურღილები ბაქოდან ჩრდილოეთით, 10 მილის დაშორებით ბალაქანში არის განლაგებული. ჭაბურღილებს ბევრი მეპატრონე ჰყავს, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდი პოპულარულობით და ცნობადობით შვედი ძმები ნობელები გამოირჩევიან. ნავთობი მიწიდან მოულოდნელად ამოხეთქავს ხოლმე, თუმცა არის შემთხვევები, როცა მიწას გამიზნულად ბურღავენ, თუკი იქ ნავთობი ეგულებათ. ამ დროს ხშირია ნავთობის შადრევანმა ამოხეთქოს 200-300 ფუტის სიმაღლეზე, ამიტომ ჭაბურღილის შორიახლოს რეზერვუარებია გაკეთებული - სინამდვილეში ეს რამოდენიმე ფუტის სიღრმის ორმოებია, რომლებიც ჭაბურღილებთან არხითაა დაკავშირებული. შადრევანის დროს მთელი მიმდებარე ტერიტორია ქვიშით იფარება, რომელიც ნავთობს მოყვება თან. ამ დროს ცეცხლის გაჩენის ალბათობაც დიდია, რამეთუ ნიადაგი ბუნებრივი აირითაა გაჯერებული. ხანძრის შემთხვევაში ტერიტორიას ტოვებენ და ხანძარს თავისით ჩაქრობის საშუალებას აძლევენ. ასეთი შეთხვევები არც თუ ისე იშვი-

ათია. რეზერვუარებიდან ამოღებული ნავთობი უზარმაზარი ცისტერნებით გასაფილტრად გადააქვთ სანაპიროზე, ბაქოსთან სიახლოვეს მდებარე ქალაქში, რომელსაც „ჩორნი გოროდს“ ანუ შავ ქალაქს ეძახიან. ნავთობისგან გამოყავთ ორნაირი - საწვავი და გასაპოხი ზეთი. ნარჩენისგან კი საწვავი მზადდება. კასპიის ზღვის გემები, ასევე სამხრეთ კავკასიის რკინიგზის ლოკომოტივები, სწორედ ამ საწვავს იყენებენ. ამ ე.წ ნარჩენების საწვავად გამოყენება ყველაზე მარტივი და ამავდროულად ნაკლებხარჯიანი საშუალებაა. რაფინირებული ნავთობი გემით მიაქვთ ვოლგაზე და შემდეგ უკვე ამ გზით ნაწილდება რუსეთში. ახალი რკინიგზის ტვირთის დიდ ნაწილს ასევე ნავთობი წარმოადგენს და დამიჯერეთ, როცა ნავთობის საწვავად გამოყენების იდეა უფრო ცნობილი და პოპულარული გახდება, უამრავი ნავთობსაზიდი მილი გაიდება კასპიიდან შავი ზღვისკენ. ჩემამდე მოღწეული ინფორმაციით, ამაზე საუბარი უკვე სერიოზულადაა დაწყებული.

საცხოვრებლად ბაქო არაა მიმზიდველი ადგილი. იქაურობა მტვერს მიაქვს. მტვრის ასალაგმად ქუჩებს წყლის მაგივრად ნავთობით ნამავენ, თუმცა ამაოდ. ჰაერში მაინც მტვრის სქელი ღრუბლები დაფარფატებენ.

ძროხის რძე არ იშოვება, მხოლოდ აქლემის და ჭაკი-ცხენის რძეს იყენებენ. ამას ემატება ზედმეტად ცხიმიანი საჭმელი და გაუსაძლისი სიცხე, რომელიც ხანდახან 120 ფარენჰაიტსაც კი ცდება. ზღვა რომ არა და მასში ბანაობის საშუალება, ბაქოში ცხოვრება პირდაპირ გაუსაძლისი იქნებოდა.

კასპიის ზღვის წყალი ნაკლებ მარილიანია და ცხელ ამინდში საკმაოდ თბილი. ასეთ წყალში ბანაობა, დამეთანხმებით ნაკლებ სასიამოვნოა. სამხრეთიდან წამოსულ ქარს ხშირად ნავთობიც თან მოაქვს, რაც ბანაობას შეუძლებელს ქმნის. ნავსადგურის ცოტა მოშორებით, სამხრეთით წყლის ზედაპირზე მოტივტივე ნავთობის და ბუნებრივი აირის ბუყბუყსაც კი გაიგონებთ. მშვიდ ღამეში აირისგან ცეცხლის აალებაც კი შეიძლება. მეც ვცადე ერთ ღამეს ამის გაკეთება, მაგრამ ქარის გამო არ დამცალდა. ნავთობის დარგში ბაქოსა და ვოლგისპირეთში გაცხოველებული ვაჭრობა მიდის. ძმები ნობელების გარდა, კიდევ სხვა უამრავი ფირმაა ჩართული. ისინი სპარსეთსაც უკავშირდებიან. ახალი რკინიგზის გაყვანის შემდეგ ეს სავაჭრო მარშრუტი კიდევ უფრო გაფართოვდება, თუმცა საოცარია, ეს უფრო ადრეც, რომ არ მოხდა. კავკასიისა და კასპიის რეგიონში ციებ-ცხელებაა მოდებული. აქ ჩამოსულ უცხოელს მაშინვე ეყრება ეს დაავადება, რომლის პირველი სიმპტომია გაუსაძლისი თავის ტკივილი, რასაც მოჰყვება პროსტრაცია, სახსრების ტკივილი, კიდურების კანკალი, თვალებში დაბნელება. ბაქოში ყოფნისას მეც შემეყარა ციებ-ცხელების მსუბუქი ფორმა, მაგრამ ქინაქინის წყალობით მალევე გავთავისუფლდი მისგან.

აღმოსავლური ხალიჩების ბიზნესი

ანტიკვარული ხალიჩები - მათი შემოტანა ინგლისში - აღმოსავლური ხალიჩების შეძენა ბაქოში - დაღესტნური ნოხები - ენობრივი ბარიერი - როგორ უფრთხილდებიან საკუთარ ხალიჩებს მუსლიმები - როგორ ქსოვენ სპარსულ ხალიჩებს - როგორ შევამოწმოთ სპარსული ხალიჩების ხარისხი - ხალიჩების საქსოვი დაზგა - თურქული ნოხი - ბატონი მარვინი და რუსები - ხალიჩების წარმოება მერვიში - ხალიჩების ახალი წყარო ცენტრალურ აზიაში - ხივა, მისი ხალიჩები და აბრეშუმის წარმოება - ჰერათის აბრეშუმის ხალიჩები - ინდოეთის, თურქეთის და მაროკოს ხალიჩები.

ხალიჩების შესახებ უხსოვარი დროიდან გვესმის. ეგვიპტელი ქურუმები ხალიჩებს წმინდა ლიტურგიისთვის იყენებდნენ, ხალიჩებით რთავდნენ ფარაონების სასახლეებს, მეფის სასახლეში გამართულ მიღებებზე საპატიო სტუმრებს ხალიჩებს უგებდნენ ფეხქვეშ. ბიბლიის თანახმად, ბაბილონელები უხსოვარი დროიდან გაწაფულან მრეწველობის ამ დარგში. ისინი სხვადასხვა ფერის სამოსს ქსოვდნენ, რომელზეც ხშირად ლეგენდარული ცხოველი, ანდა ადამიანის ფიგურა იყო გამოსახული. ამბობენ, სპარსეთის დამაარსებლის, კიროს საფლავს სწორედ რომ ბაბილონის ალისფერი ხალიჩები ამშვენებსო. ასურეთიდან ხალიჩები ჯერ რომსა და საბერძნეთში, შემდეგ კი დანარჩენ დასავლეთ ევროპაშიც გაიტანეს. დიდ ბრიტანეთში ჯერ კიდევ ჰენრი VIII-ს დროს სცადეს გაცნობოდნენ ხალიჩების ქსოვის ტექნიკას, თუმცა მე-17 საუკუნის დასასრულამდე ამ დარგში მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. ბრიტანული ხალიჩების წარმოება სწორედ აღმოსავლური ტრადიციების გავლენით განვითარდა და ამის კვალი დღესაც თვალშისაცემია. გირჩევდით გაითვალისწინოთ, როდესაც ხალიჩები ორმაგი სახელით იყიდება, როგორც მაგალითად ანგლო-სპარსული, ანდაც ანგლო-თურქული მაშინ მისი ხარისხი საეჭვოა და მყიდველს, განსაკუთრებით გამოუცდელს, დიდი სიფრთხილე მართებს.

აღმოსავლური ხალიჩების შესაძენად ბაქო საუკეთესო ადგილია. შემდეგ დაღესტანია ცნობილი, როგორც უძველესი და უნიკალური ხალიჩების სამშობლო. აქაურ ხალიჩებს ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იყენებდნენ სპარსელები, როგორც უძვირფასეს ძღვენს. საუკუნეების განმავლობაში აქაური ხალიჩები თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე მათგანი ბაქოელ ან თბილისელ ვაჭარს არ ჩაუვარდებოდა ხელში. ისინი უცნაურად ლამაზი შეფერილობისაა და შესანიშნავი ხარისხის მატყლითაა დამზადებული. განსხვავებული, მდიდარი და ნაზი ფერები საბოლოოდ ერთიან ჰარმონიას ქმნის. საკვირველებას არ უნდა

წარმოადგენდეს, რომ დროთა განმავლობაში ხალიჩების ოდენობა იკლებს და ისინი ნელნელა უჩინარდებიან, რაც იმით აიხსნება, რომ ევროპაში მათზე მოთხოვნა და ინტერესი სულ უფრო იზრდება. ასე თუ გაგრძელდა, მალე ხალიჩებს ისეთი ფასი დაედება, რომ მხოლოდ უმდიდრესი კოლექციონერები და ანტიკვარიატის მოტრფიალენი თუ შეძლებენ მათ შეძენას. თანამედროვე დაღესტნური ხალიჩების დიდ ნაწილს ბაქოს სიახლოვეს ქსოვენ, ასევე სპარსეთის საზღვართან მდებარე დერბენტსა და შუშაში. მაგრამ ისინი თავისი ხარისხით იმ უძველეს ხალიჩებთან, რაც ზემოთ აღვწერეთ, ახლოსაც ვერ მოვლენ. მე მქონდა ბედნიერება რამოდენიმე ასეთი ხალიჩა შემეძინა. ასაკით ისინი სამოცდაათ-ასორმოცდაათ წელს ითვლიდნენ. ხშირ შემთხვევაში მოქსოვის თარიღი და ოსტატის სახელი ხალიჩას თან აქვს ჩაქსოვილი, თუმცა ამ საქმეში ჩახედულთათვის ხალიჩის დიზაინი და ფერებიც უკვე კმარა, რომ ხალიჩის ასაკი ზუსტად დაადგინონ. ხალიჩების შეძენისას ენობრივი ბარიერი ძალიან ართულებს და აჭინაურებს მეპატრონეებთან მოლაპარაკებას. კავკასია ხომ უცნაურ და გაუგებარ ენათა კალეიდოსკოპს წარმოადგენს. ჩემი ცხოვრების საკმაოდ დიდი პერიოდი შევალიე ხალიჩებზე ნადირობას. ვისთან აღარ მომიწია საქმის დაჭერა. შემხვედრია რუსი, სპარსელი, სომეხი, ქართველი, თურქი თუ თათარი, პატარ-პატარა ტომების წარმომადგენლებზე რომ აღარაფერი ვთქვა, რომლებიც კიდევ მეტად გაუგებარ ენებსა და დიალექტებზე საუბრობდნენ. ბატონი მარვინის ფასდაუდებელი დახმარებისა და გვერდში დგომის გარეშე ჩემი მისია კავკასიაში უაღრესად გართულდებოდა. ის მიწევდა თარჯიმნობას მეპატრონეებთან მოლაპარაკებისას, მეხმარებოდა ადგილობრივი თანაშემწეების მოძებნა-აყვანაში. ხშირად მოლაპარაკება ისე იწელებოდა და იძაბებოდა, რომ დასასრულისკენ ბატონი მარვინი პირში ენას ძლივს აბრუნებდა. ეს ხელოვნებისადმი მის უდაოდ უანგარო და მხურვალე სიყვარულზე მიუთითებს. სწორედ ამით აიხსნება ის რუდუნება და თავდადება, რომლითაც იგი ჩვენთვის მორთმეულ ათასობით ხალიჩას დეტალურად ამოწმებდა, სინჯავდა და მეპატრონეებთან ხანგრძლივ მოლაპარაკებებს მითარგმნიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობას კავკასიაში ძალიან სერიოზულად უდგებიან. იგი, შეიძლება ითქვას, ცალკე ხელობად ითვლება და დიპლომატიის დახვეწილ და მოქნილ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. კავკასიაში სანდო თარჯიმნის პოვნა თითქმის შეუძლებელია. ისინი, ვინც გამართულად ფლობენ უცხო ენას, ხშირად თაღლითობენ და მათი ნდობა არ შეიძლება. ხშირად ხალიჩის სანახავად პირდაპირ სახლში ვსტუმრობდი ხოლმე მეპატრონეს, რამაც ბევრ აღმოსავლურ ტრადიციას, თუ წეს-ჩვეულებას მაზიარა. მაგალითად, აღმოვაჩინე, რომ მუსლიმი და ევროპელი სრულიად განსხვავებულად ეპყრობიან ხალიჩას. მუსლიმისთვის იგი ფუფუნების და მოსვენების საგანია. არასოდეს სპა-

რსელი ფეხსაცმლით არ შედგება ხალიჩაზე. ამ ზნის შედეგია, რომ უძველესმა აღმოსავლურმა ხალიჩებმა ჩვენს დრომდე შემოინახა პირვანდელი პეწი და სილამაზე. კანონით, მუსლიმებს ოთხი ცოლის ყოლის უფლება აქვთ, მაგრამ შეუძლიათ იმდენი მონა და ხარჭა დაისვან, რამდენზეც ჯიბე გასწვდებათ, ანუ რამდენის რჩენასაც შეძლებენ. ქალები აქტიურად არიან ჩართულები ხალიჩის დართვის ბიზნესში, თუმცა ისინი მომცრო ზომის ხალიჩებს, იგივე ფარდაგებს, ქსოვენ. დიდი ხალიჩები კაცების საქმეა. სპარსული ხალიჩებისა და ნაქარგების უმეტესობა ჰარემის ქალების მიერაა შესრულებული. დიახ, მკითხველს არ უნდა დაავიწყდეს, რომ აღმოსავლეთში ხალიჩებს უმეტესწილად ქალები ქსოვენ და რთავენ, მაშინ, როცა მათი ქმრები თუ ბატონები უსაქმურობასა და განცხრომაში არიან. აღმოსავლური ხელოვნების ნიმუშებს შორის სპარსულ ხალიჩებს დამსახურებულად უკავია საპატიო ადგილი. ისინი გამოირჩევიან არა მხოლოდ უნაკლოდ შესრულებული სამუშაოს ხარისხით, არამედ ჩინებული ბეწვით და ფერთა ჰარმონიით. ხალიჩებს ძირითადად ხორასნის პროვინციასა და სპარსულ ერაყში[5] ქსოვენ, სადაც ათასობით ფეიქარია დასაქმებული.

ხორასნის პროვინციაში აღსანიშნავია მეშჰედი, ყაემი, ბირჯენდი და იეზდი, ხოლო სპარსულ ერაყში ფეიქრები ძირითადად სოფლებში არიან თავმოყრილნი, ანდაც ქირმანშაჰის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმოფანტულ მომთაბარე ბარაკებში. სპარსული ერაყის ტერიტორიაზე ყველაზე ლამაზ ხალიჩებს სანანდაჯსა და ფარაჰანში ქსოვენ. ასევე აღსანიშნავია ქერმანი, ისპაჰანი და ქარადაღი. ქურთისტანისა და ლურისტანის მომთაბარე ქურთები და ლურებიც გამოირჩევიან თავიანთი მარჯვე ოსტატობით. შირაზში ნაქსოვი ხალიჩებიც დიდად ფასობს.

ირანში მცხოვრები მომთაბარე ტომები ასე თუ ისე ყველა დაკავებულია ხალიჩების ქსოვით, მაგრამ მათ გარდა არიან ქალაქად მაცხოვრებელი პროფესიონალი ფეიქრები, რომლებიც სამუშაოს ძიებაში ქალაქიდან ქალაქში გადაადგილდებიან, ამით აიხსება ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ადგილებში შეიძლება მსგავსი ნიმუშები შეგხვდეთ. როგორც უკვე მოგახსენეთ, აღმოსავლურ ხალიჩებს ძალიან ფაქიზი და მშვიდი ფერები გასდევს, რაც თვალისთვის ერთობ მაამებელია. იყო იმის მცდელობა, რომ დასავლური, უფრო კაშკაშა და მკვეთრი ფერები შეერიათ, მაგრამ კიდევ კარგი მიხვდნენ, რომ ამით აღმოსავლურ დიზაინსა და სიფაქიზეს დიდად დააზარალებდნენ. უფრო მეტიც, ამჟამინდელმა შაჰმა, ნასრედინმა აკრძალა თავის ტერიტორიაზე უცხოური მატყლისა და საღებავების შემოტანა, და ზოგადად ხალიჩების ქსოვისას ევროპული დიზაინის გამოყენება.

---

[5]ავტორი იყენებს სახელწოდებას Irak-Ajemi, იგულისხმება ირანის დასავლეთ პროვინციები, ისტორიული მედიას ნაწილი (რედ.)

ხალიჩის ხარისხის შესამოწმებლად სპარსელები ასეთ ძველ ხერხს მიმართავენ. ისინი ხალიჩაზე გავარვარებულ ხის ნახშირს აგდებენ, რაც, რასაკვირველია, მიმწვარ ადგილას ყავისფერ ლაქას ტოვებს. თუ ხალიჩა კარგი ხარისხისაა, მაშინ გატრუსული ნაწილი ხელის მსუბუქი მოსმითაც ისე უნდა მოსცილდეს, რომ არავითარი კვალი არ დატოვოს. სპარსული ხალიჩებისთვის ძირითადად ქურთისტანის, ხორასანისა და ქერმანის ცხვრის მატყლს იყენებენ, რომელიც განსაკუთრებულად რბილი, ფაფუკი და ხასხასაა. ეს ამ კონკრეტული ჯიშისთვის დამახასიათებელია. მათი მატყლის ფერი იმდენ ჩრდილოვან ფერს ქმნის, რომ ხალიჩის ქსოვისას მათ ბუნებრივ პირობებში იყენებენ და შეღებვას აღარც კი საჭიროებს. ცხვრის გარდა, თხის მატყლსაც იყენებენ ქსოვისას, განსაკუთრებით ქურთები.

სპარსელები და ინდოელები დაოსტატებულები არიან საღებავების შექმნა - შეზავებაში. სასურველ ფერებს მცენარეებისა და მათი ფესვების ფერმენტაციით იღებენ. მათი საყვარელი ფერებია ინდიგო, ფირუზისფერი ლურჯი, ნარინჯისფერი ყვითელი, ლალისფერი წითელი, ალისფერი და მწვანე. საოცარია, და ამ რთულ საქმეში ისინი საკმაოდ პრიმიტიულ საქსოვ დაზგას იყენებენ. უპირობოდ ყველა ხალიჩა ხელითაა შესრულებული, რაც არაადამიანურ ნებისყოფას, მოთმინებას და, რაც მთავარია, ჯაფას მოითხოვს. საქსოვი დაზგა ორი პარალელური - ქვედა და ზედა ძელისგან შედგება, რომლებსაც ძაფების ასხმა გაყვება ვერტიკალურად, სწორედ მათ შორის ნართის გატარებით იქსოვება ხალიჩა. მანძილი ძელებს შორის დამოკიდებულია ხალიჩის სიგრძესა და სიგანეზე. მანამდე კი ადგენენ ხალიჩის დიზაინს, მისი მიხედვით კი ესკიზს. წინდაწინ შეღებილ შალის ნართებს იყენებენ ორნამენტის ფერად, როდესაც სასურველ ორნამენტს მიიღებენ, ხდება ნართის დალურსმნა და შემდეგ მისი გამაგრება სპეციალური სავარცხლით. იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა გქონდეთ, თუ რამხელა რუდუნებას მოითხოვს ეს საქმე, იცოდეთ, რომ სპარსული ხალიჩის ერთი კვადრატული იარდი დაახლოებით 200 000 - 300 000 გვირისტულას იტევს, თითოეული მათგანი კი ხელითაა დასამაგრებელი. ხარისხიანობითა და ფერთა ჰარმონიით სპარსულ ხალიჩებს არაფრით ჩამოუვარდება სამხეთ კავკასიაში, ბაქოს მიმდებარედ, თურქომანი[6] ქალების მიერ მოქსოვილი ხალიჩები. მათი ერთი ნაწილი ვარდისფერი შეფერილობისაა, ნაწილი კი აქლემის ბეწვისგან არის მოქსოვილი. ისინი ძირითადად გადასაფარებლად, ინგლისში კი ფარდებად მოიხმარება, ვიდრე ხალიჩად. თურქომანების ტერიტორია მდინარე ათრაქის ჩრდილოეთით მდებარე სამხრეთ კავკასიის რეგიონს მოიცავს და ხივას, ბუხარასა და ავღანეთის სა-

[6]ავტორი იყენებს ეთნონიმებს - Turcoman და Turcoman Territory. იგულისხმება ახლო აღმოსავლეთის და ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე მცხოვრები მომთაბარე, თურქულენოვანი ხალხები. (რედ.)

ზღვრებსაც კი სწვდება. რეგიონში მრავალი სახის ხალხთა ტომი ცხოვრობს. ბოლო დრომდე ისინი დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ, ყოველგვარი წესრიგის გარეშე და ცხოვრების სასტიკ წესს მისდევდნენ. ისინი გამოირჩეოდნენ მოტაცებული მონების მიმართ დაუნდობელი მოპყრობით, რასაც რუსეთის მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობით დაესვა წერტილი. თუ აღნიშნული საკითხი გაინტერესებთ და გსურთ ცოდნა გაიღრმაოთ, მაშინ გირჩევდით ბატონი მარვინის[7] ნაშრომს გაეცნოთ: „მერვი, მსოფლიოს დედოფალი და ხალხის მტაცებელი თურქომანთა ჭირი," ასევე ბატონი ო'დონოვანის[8] „მერვის ოაზისი," და მაკგაჰანის[9] „ლაშქრობა ამუდარიაზე." სამივე ნაშრომი შეიცავს უხვ ინფორმაციას თურქმენთა ტომების შესახებ. ბატონი მარვინის ნაშრომებს რუსეთში კარგად იცნობენ, მე თავად ვნახე მისი ორი წიგნი ბაქოში ვიზიტისას, ხოლო როდესაც თბილისის გავლით, სახლში დავბრუნდი, იქ უკვე რუსული გაზეთი გამოსცემდა მისი სტატიების კრებულს, „ინდოეთისკენ მიმავალი რუსული რკინიგზა." მიუხედავად იმისა, რომ ის თავის ნაშრომებში რუსეთს გვარიანად ამათრახებს, მაინც ძალიან დაფასებულია მთელს რუსეთში და დიდი პატივისცემით და რიდით ეკიდებიან. სწორედ რომ ამაზეა ნათქვამი:

A Russian, a dog and a walnut tree,
The more you lick 'em, the better they be.[10]

მე მაგალითად, დავრწმუნდი, რაც უფრო უხეშად და აგდებით ვეპყრობოდი სომხებს, მით უკეთ გამომდიოდა მათთან საქმე. მათი საქმისადმი პარაზიტული მიდგომა, რომ არაფერი ვთქვა მათ ორპირობასა და სიცრუეზე, ჩრდილოელ კაცს კი არა, თავად წმინდანსაც კი გამოიყვანდა წყობილებიდან.

თურქომანული ხალიჩის დართვისას, მოხუცი ქალი პირდაპირ კარვის წინ, ზედ ქვიშაზე ხატავს ხალიჩის ფორმას, შემდეგ კი ანგარიშობს რა ოდენობის ძაფი და ნართი დასჭირდება. მასალად აქლემის ბეწვს, უფრო სწორად კი მატყლს იყენებენ, რომელსაც ცხოველს მუცლის მიდამოებიდან აჭრიან.

ხალიჩის ფერები რომ გამოკვეთოს, ქვიშაში შეღებილი ქსოვილის კოჭებს აწყობენ, როგორც ამას ესკიზი მოითხოვს. თურქომანები ღებვის ჯერ ისევ ძირძველ ხერხს მიმართავენ და ხალიჩების ტრადიციულ დიზაინსაც თითქმის უცვლელად მისდევენ. ძირითად ფერს

---

[7]იგულისხმება ინგლისელი დიპლომატი ჩარლზ თომას მარვინი (1854-1890 წწ), რომელიც სხვადასხვა მისიით რუსეთის იმპერიაში იყო მივლენილი. მას გამოცემული აქვს არაერთი ნაშრომი რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებზე ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში (რედ.)

[8]იგულისხმება ინგლისელი სამხედრო ჟურნალისტი ედმუნდ ო'დონოვანი (1844-1883 წწ). მერვში ყოფნის დროს ის წარმოადგენდა გამოცემა „დეილი ნიუსს" (რედ.)

[9]იგულისხმება ამერიკელი ჟურნალისტი და სამხედრო კორესპონდენტი იანუარიუს მაკგაჰანი (1844-1878 წწ). ცენტრალურ აზიაში ყოფნისას ის აქვეყნებდა წერილებს „ნიუ იორკ ჰერალდისათვის" და „დეილი ნიუსისათვის". (რედ.)

[10]„რუსს, ძაღლსა და კაკლის ხეს, კარგი ლოკვა ამშვენებს" (მთ.)

მოვარდისფრო-მოწითალო ქმნის სხვადასვა ჩრდილოვანი ტონით, რომელსაც მსუბუქ ხაზებად გასდევს თეთრი, ყავისფერი და მწვანე.

ხივას დაპყრობის შემდეგ, თურქომანებმა ურიცხვი ხალიჩა მიჰყიდეს რუს ოფიცრებს, რათა გენერალ კაუფმანის მიერ დაკისრებული ხარკი გადაეხადათ. ქარშისა და ბუხარას ბაზრები ხალიჩებით ვაჭრობის ძირითად ადგილს წარმოადგენდა ჯერ კიდევ რამოდენიმე წლის წინ. ახლა როცა რუსეთი ასე აქტიურად ცდილობს კასპიის რეგიონისა და თურქმენეთის ერთმანეთთან დაკავშირებას, გაიზარდა იმის ალბათობა და შესაძლებლობაც, რომ აღნიშნულმა ხალიჩებმა ინგლისამდეც ჩააღწიოს. ყოველ შემთხვევაში, მე ამისათვის ძალებს არ დავიშურებ და ჩემს ხელთ არსებულ ყოველ საშუალებასა თუ ნაცნობობას სწორედ ამისკენ მივმართავ.

ჩემი ბაქოში ყოფნისას მდინარე ათრაქის მხრიდან ერთი თურქომანული გემი ჩამოდგა. ცმობისწადილმა ამიტანა და გემბანზე ავედი. ისინი გულუხვად დამხვდნენ და მათთვის ასე დამახასიათებელ სტუმართმასპინძლობას არ უღალატეს, მე კი კარგად გათვლილი, წინდახედული ნაბიჯებით და ენაწყლიანი ვაჭრობით რამოდენიმე იშვიათი ხარისხის ხალიჩა ჩავიგდე ხელთ. შემდეგ კი ერთი სპარს-თურქმენი ვაჭარი გავიცანი, რომელსაც კარგად აწყობილი ბიზნესი ჰქონდა გაჩაღებული ხივასა და მერვიში. მისი წყალობით მეც მომეცა იშვიათი საშუალება, ამ რეგიონიდან ჩამოსულ უნიკალური ხალიჩებით სავსე რამოდენიმე გემზე ვყოფილიყავი. ხივას ხალიჩები კარგი ხარისხისაა და მათზე აუგს ვერავინ იტყვის, მაგრამ ხივა მაინც აბრეშუმის წარმოებითაა ცნობილი. აქ თუთის ხე დიდად ხარობს და აბრეშუმის წარმოების მთელი ბიზნესი - თუთის ხის გამრავლება, აბრეშუმის ჭიის მოყვანა, ძაფის დართვა, ღებვა და ქსოვა, როგორც წესი, ერთი ოჯახის ხელთაა, განსხვავებით ევროპისგან, სადაც ხალიჩის ქსოვის სხვადასხვა სტადიაზე სხვადასხვა მხარეებია ჩართული.

ჰერათშიც უხვად ხარობს თუთა, ამიტომაც ხალიჩების მოსაქსოვად ბამბის მაგივრად აბრეშუმის ძაფს იყენებენ, თუმცა ბოლო დროს ამ მხარეში გახშირებულმა ომებმა ბიზნესი საგრძნობლად დააზიანა.

რაც შეეხება ინდოეთს, გადმოცემის თანახმად, ხალიჩების ქსოვა აქაც სპარსეთიდან გავრცელდა. დასანანია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ინდური ხალიჩების ხარისხი ერთობ დააკნინა ვაჭრების სულსწრაფობამ და სიხარბემ. ხარისხის მაგიერ ისინი მოგებით უფრო იყვნენ დაინტერესებულები და ცდილობდნენ რაც შეიძლება სარფიანად გაეყიდათ ხალიჩები ევროპაში. ინდურ ხალიჩებს კრემისფერი ფონი აქვს, აქა-იქ წითელი და ლურჯი ჩრდილით.

მცირე აზიაში თურქული ხალიჩების სახელით ცნობილ ხალიჩებს ქსოვენ, რომელთა ძირითად ფერებს წითელი, მწვანე, ლურჯი და ნარინჯისფერი შეადგენს. მათ ქსოვენ სმირნიდან რამოდენიმე დღის

სავალზე მდებარე აიდინის პროვინციაში. სმირნის ნავსადგურიდან კი ისინი ევროპაში გააქვთ. მეზობელი სოფელი, კულა გამოირჩევა ხარისხიანი ხალიჩებით, ისე კი მთელი მცირე აზიის ტერიტორიაზე არის გავრცელებული ხალიჩების ქსოვა.

ხალიჩებზე საუბრისას ბარემ მაროკოც ვახსენოთ, სადაც შესანიშნავ ხალიჩებს აწარმოებენ ადგილობრივი მუსლიმე ბერბერები. აღსანიშნავია პროვინციები - დუკალა, დარ-ელ-ბეიდა და რაბათი. აქაური ხალიჩები ევროპაში ტანჟერიდან გააქვთ. თურქული, ინდური ანდაც მაროკოული ხალიჩების სილამაზეზე არავინ დაობს, მაგრამ აქვე დავძენ, რომ საუკეთესო ხალიჩებად მაინც თურქმენული დ სპარსული ხალიჩები ითვლება და მე მერგო პატივი მათი დიდებულება საკუთარი თვალით მეხილა.

აღმოსავლური ქარავნები და ხალიჩებით ვაჭრობა

როგორ გადააქვთ ხალიჩები აღმოსავლეთიდან ევროპაში - აღმოსავლური გზები -ქარავნები - გაჭინაურებული მოლაპარაკებები აზიელებთან - სპარსელ ვაჭართა ორპირობა - ქარავანთან მგზავრობის საფრთხეები - გენერალ სკობელევის კეთილი საქმე - ხალიჩებით ვაჭრობის პირადი გამოცდილება - უკან, შავ ზღვაზე - შინ - ჩემი ნაყოფიერი მოგზაურობის დასასრული - ნიუკასლსა და აღმოსავლეთს შორის პირდაპირი სავაჭრო კავშირის დამყარება.

სპარსული და თურქული ხალიჩები ევროპაში სხვადასხვაგვარი გზებით აღწევს, რომელთა შორის ქარავანს განსაკუთრებული ადგილი უკავია. წინა თავში უკვე მოგახსენეთ, რომ სარკინიგზო ხაზის გაყვანამ ეს ნელი და გრძელი გზა საგრძნობლად შეამოკლა. კავკასიაში, ხალიჩებზე ნადირობისას, ჩემი ხანგრძლივი მოგზაურობისას, ქარავნების ავან-ჩავანი კარგად შევისწავლე, ბევრი მათი თავისებურება გავიგე და ავითვისე. ზოგიერთ მათგანს თქვენც გაგიზიარებთ ამ თავში.

აღმოსავლური გზები რამოდენიმე სხვადასხვა მარშრუტისაგან შედგება, რომლებიც თავისთავად, დროთა განმავლობაში გამოიკვეთა, ძირითადად მგზავრთა ნებით. მათ დაიწყეს ამა თუ იმ გზით სიარული და გზაც ასე დაიბადა. მათ მოწესრიგება-შენარჩუნებაზე სახელმწიფო არ ზრუნავს. თვითონ ზრუნავენ საკუთარ თავზე. არც ტრანსპორტით არიან მაინცდამაინც გადატვირთულნი. შეიძლება ითქვას, რომ საბურავი ჯერ არც კი შეხებიათ. მთავარი ქალაქების დამაკავშირებელ გზებზე ცხენებს ქირაობენ ხოლმე, მომდევნო სადგურზე კი ცვლიან ახალსა და დასვენებულ ცხენებში, ასეთია გარიგების პირობები, თუმცა ვისაც საშუალება აქვს, საკუთარი ცხენებითა და მოსამსახურეებითურთ მგზავრობს. ასეთ შემთხვევაში მათ სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ესკორტი მიაცილებს გზაში ხიფათს რომ არ გადაეყარონ, ასეთი კი მრავლად ხდება.

ორიოდე სიტყვით ქარავანზეც მოგახსენებთ. ქარავანი მგზავრობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა აღმოსავლეთში. აქ ნახავთ აქლემებს, ჯორებს, ვირებს, რომელთა პატრონებსაც გადაუწყვეტიათ ერთურთს დაემგზავრნონ, რამეთუ საერთო გზა აქვთ და თანაც ასე თავს უკეთ დაიცავენ გზად დამხვედრი მძარცველებისაგან, რაც არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა ამ მიდამოებში. შედარებით მდიდარი მგზავრები ცხენებზე ამხედრებულები მიყვებიან ქარავანს, ღარიბები ფეხით მისდევენ. ყოველ ქარავანს წინ მიუძღვება მეთაური, იგივე ქარავან-ბაში. იგი წყვეტს, როდის და სად შეისვენონ, და როდის განაგრძონ გზა. როგორც წესი, ქარავან-ბაში ნასწავლი, გამოცდილი და საზრიანია და მგზავრებს ყველანაირ ინფორმაციას აწვდის, თუ მათ

მგზავრობასთან დაკავშირებული კითხვები გაუჩნდებათ. ჩემთვის, ინგლისელისათვის, ქარავნით მგზავრობა უცხო და საინტერესო გამოცდილება იყო. დასავლეთში ამის მსგავსს ნახავთ სადმე?

სიცხემ და მტვერმა მგზავრობა კიდევ უფრო მომქანცველი გახადა. ქარვასლაში ჩასვლისთანავე შევუკვეთეთ მარტივი, იქაური საჭმელი - შამფურზე შემწვარი ხორცი. ვითომ არაფერი, მაგრამ კარგ წვნიან საზამთროსა და ხორბლის ნამცხვართან ერთად დიდებული ვახშამი გამოვიდა განსაკუთრებით ნამგზავრი და მოშიებული ადამიანისათვის. მუცლის ტიფისგან, ციებ-ცხელებისგან ან სხვა იქაური დაავადებისგან თავის დასაცავად წყალს მხოლოდ ანადუღარს ან ჩაის სახით ვიღებდი, იმასაც ქინაქინას ვამატებდი. ქარავნით მგზავრობისას ვის აღარ შეხვდება კაცი. ამის მშვენიერი მაგალითი იყო სპარსელი მამა-შვილი, რომლებსაც გამოველაპარაკე და გადავწყვიტე მათგან ხალიჩა შემეძინა, მაგრამ გარიგებას იმდენი დრო, ლაპარაკი და ენერგია შევალიე, თემთა პალატაშიც რომ არ დაესიზმრებოდათ. მაგრამ არ გეგონოთ, ეს ფულთანაა კავშირში. არა, გარიგებისას ისინი მოთმინებას აფასებენ უწინარეს ყოვლისა.

სპარსელ ვაჭრებს მეტწილად გრძელი მატყლის ხალათები აცვიათ და ასევე გრძელი, უფარფლებო ქუდები ახურავთ. სხვები აბრეშუმის სამოსს ანიჭებენ უპირატესობას და წელზე ორნამენტული ქამრები არტყიათ. რაც არ უნდა შესთავაზო პირს არაფერს აკარებენ, ჩაიზე და ყავაზეც კი უარს ამბობენ. შეუძლიათ მთელი დღე გარიგებებსა და ქაქანში ისე გაიყვანონ, რომ პირი არ გააჩერონ. მიუხედავად მათი ვერაგობისა, მაინც სახალისო იყო მათთან ურთიერთობა და საერთო ენაც ადვილად გამოვუნახე.

ჩემი მგზავრობისას, საბედნიეროდ, არანაირი ხიფათი არ შემყრია, ბრძოლაში არ მოვხვედრივარ, არ დამჭირვებია თავდაცვა, მითუმეტეს თავდასხმა, თუმცა უნდა ვაღიარო, ისეთ საეჭვო ადამიანებსაც შევხვედრივარ, რომლებსაც დარწმუნებული ვარ, ხელიც არ აუკანკალდებოდათ ადამიანის მოსაკლავად, ასეთის საჭიროება რომ დამდგარიყო. ამ გზებზე ქარავნების დაყაჩაღება ხშირია და სარფიან საქმედ ითვლება. ყველაზე თავზეხელაღებული ყაჩაღები ქურთები და ლურები არიან. მთელი სამხრეთ კასპიის ტერიტორია ყაჩაღებით იყო სავსე, ხოლო ხორასანის საზღვარი 1881 წლამდე თურქმენების მიერ იყო აოხრებული. საბედნიეროდ, რუსეთის შემოსვლის მერე უმეტესობა დაიჭირეს და ციმბირში გაასახლეს. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის რუს გენერალს სკობელევს[11]. მისი დამსახურება იყო, რომ მგზავრობა კასპიიდან მეშჰედში უსაფრთხო გახდა.

აღმოსავლეთში მგზავრობისას სპარსეთ კავკასიის რეგიონის გაცნობისთვის საწყის წერტილად ბაქო ითვლება, და სრულიად დამსა-

[11]იგულისხმება რუსი გენერალი მიხეილ სკობელევი (1843-1882 წწ), მან განსაკუთრებით სახელი გაითქვა ცენტრალური აზიის დაპყრობით და დამორჩილებით. (რედ.)

ხურებითაც, რადგან აქ მგზავრობისთვის ყველა საჭირო აღჭურვილობა ადვილად და იაფად მოიპოვება. ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შევიძინე ცხენები, აქლემები და ჯორები, თან იმდენი, რომ რამოდენიმე ქარავანს გასწვდებოდა, არათუ ერთს.

დაღესტნელები გაწაფული ცხენოსნები არიან, ცხენების არჩევაც იციან და მათი მოვლაც. მათი ცხენები შეიძლება ერთდროულად ჩვენებურ ინგლისურ მონადირე და სადოღე ცხენებს შეადარო - ორივე მათგანისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვთ ბოძებული - მონადირე ცხენის სიჭკვიანე და კოხტად გამოყვანილი ფორმები და სადოღე ცხენის სიმარდე და ჯიშიანობა. თითო ასეთი ცხენი ათ-თორმეტ სტერლინგად შეიძლება შეიძინო, აქლემი კი იმდენი ღირს, რამდენიც კარგი ვირი - დაახლოებით თითო სტერლინგი და ზემოთ. შევამჩნიე მდინარე მტკვრის გადალახვისას დაღესტნელი მხედრები ჩამოქვეითდებოდნენ ხოლმე და ყოველგვარი აღვირის გარეშე მიუშვებდნენ ცხენებს საბანაოდ. ისინიც ნებიერად გრილდებოდნენ და თუ ამასობაში წყალში ღრმად შევიდოდნენ, არც ცურვა უჭირდათ. თუმცა მხედრების საპირწონედ უნდა აღვნიშნო, რომ პირველივე დასტვენაზე პირუტყვები მორჩილად ბრუნდებოდნენ ნაპირზე.

ქარავან-ბაში, როგორც წესი, გამოცდილი წინამძღოლია, რომელიც სპარსეთიდან ტრაპიზონამდე უამრავ ქარავანს გაძღოლია. იგი იმაზე კარგად ერკვევა ხალიჩების ბიზნესში, ვიდრე ყველა ვაჭარი ერთად აღებული. ამას გარდა, თავისუფლად ფლობს რეგიონში გავრცელებულ ყველა ენასა თუ დიალექტს. როგორც მოგახსენეთ, მოგზაურობისას უამრავ სპარსელს შევხვდი. მიუხედავად იმისა, რომ მათ უზადო ქცევა და მანერები აქვთ, მაინც ყველა მათგანში შევამჩნიე ორპირობა, გაქნილობა და გაიძვერობა, რაც ევროპელი კაცისთვის ერთობ მიუღებელია და ამაზრზენიც კი. დიდი ტაქტი და ძალისხმევაა საჭირო მათთან საქმის დაჭერა და გარიგება, ასატანი პროცესი რომ იყოს. უბრალო, პირდაპირი საუბარი მათთვის უცხოა. თითქმის მომაბეზრებლად სტუმართმოყვარულები არიან, მაგრამ ყოველთვის ითხოვენ რაიმეს სანაცვლოდ და ამას არც კი მალავენ. უტიფრად და უსირცხვილოდ პირდაპირ სახეში გეუბნებიან გულისწადილს. ერთიც კი არ შემხვედრია პატიოსანი და პირიანი. მათთვის ტყუილი ბიზნესის ნაწილია, ვინემ ხასიათის თვისება. ვინც ვაჭრობაში არ იტყუება, მას თავისთავად სულელად თვლიან.

ერთი სპარსი ვაჭარი, ვისთანაც მომიწია საქმის დაჭერა, ზემოთ თქმულის უნაკლო მაგალითს წარმოადგენდა. იგი ასაკოვანი, შეძლებული ვაჭარი იყო. ბაქოსა და თავრიზის ბაზრებში ბევრ დახლს და ქარხანას ფლობდა რეშთში. გრძელ, ფართე აზიურ ხალათსა და მატყლის ქუდში საკმაოდ მდიდრული და მედიდური შესახედაობის იყო. მასთან შესახვედრად სპეციალური მოწვევის ბარათი დამჭირდა. ალბათ ამის გამო იყო, რომ ხელიდან შანს არ უშვებდა, რომ გავე-

ცურებინე და ჩემგან რაც შეიძლება, მეტი ფული დაეცინცლა, რაშიც თავისი კოპწია შვილი დიდი მონდომებით ეხმარებოდა. სპარსული ჰარემის ქალები აქ გავრცელებულ სპეციალურ საღებავს - ხნას, როგორც კოსმეტიკის საშუალებას, ისე იყენებენ. ასევე ნახავთ ცხენებს, ხნით შეღებილი ფაფრით, კუდით და საოლავებით რომ იწონებენ თავს. ხოლო ნამდვილი, ტრადიციული სპარსელები ხნით ფეხის ცერა თითის ფრჩხილს, წარბებს და წვერსაც კი იღებავენ. უამრავი საათი გავატარე ჩემი სპარსელი ვაჭრის დახლებთან, სადაც გარდა სპარსული ხალიჩების უიშვიათესი კოლექციისა, ულამაზესი ნაქარგებიც ჰქონდა. ხელებს შეატყუპებდა, თითქოს ლოცულობსო, რითიც ვაჭრობას გახსნილად აცხადებდა და თან ამით თავის შვილს უხმობდა, რომელსაც დაუზარებლად გამოჰქონდა ახალ-ახალი, როგორც თავად ვაჭარი ამბობდა, „ნარჩევი, საუკეთესო“ საქონელი. ჩვენ ერთი გრძელი, ტურტლიანი ქაღალდი გვყოფდა და ერთიც ფანქარი, რომელსაც ვაჭარი ხან პირში იდებდა საწუწნავად, ხანაც ყურებს იჩიჩქნიდა. ვაჭრობის დასაწყისში ის თავის ფასს სწორედ ამ ფანქრით წერდა ქაღალდზე და მაწვდიდა. ჩემს პასუხსაც ასევე წერილობით ელოდა. მეც, შესაბამისად, ჩემს სასურველ ფასს ვწერდი და ქაღალდს ვუბრუნებდი, ის თავის ფასს ოდნავ უკლებდა და ისევ მაწვდიდა ფურცელს და თქვენ წარმოიდგინეთ, ასე გრძელდებოდა საათობით. არც ის თმობდა, არც მე. თან ამის კვალდაკვალ მარწმუნებდა საქონლის ხარისხსა და უნიკალურობაში. საბოლოოდ მის უტიფრობას ისე გამოვყავდი წყობილებიდან, რომ უშვერი სიტყვებით ვლანძღავდი და გაცოფებული ვტოვებდი იქაურობას. თუმცა ეს არ იყო დასასრული. საღამოს ჩემს სასტუმროში დამადგებოდა მამა-შვილი, ძღვენით ხელდამშვენებულები - მოზრდილი ტკბილი წვნიანი საზამთროთი და ყურძნით - რაც იმ პაპანაქება სიცხეში პირდაპირ ღვთის კურთხევა იყო. ვაჭრებს თან ჰქონდათ დაწუნებული საქონელი და მოლაპარაკების გაგრძელებას მთხოვდნენ. თან მპირდებოდნენ, რომ ამ ჯერზე ისინი უფრო სამართლიანები და გულუხვები იქნებოდნენ. როდესაც მათ მატყუარას და აფერისტს ვეძახდი, ვაჭარი შეიცხადებდა და ენერგიულად მეწინააღმდეგებოდა, „არა, არა; მე ჰაჯი ვარ, წმინდა კაცი, მე მექა მაქვს მოლოცვილი;“ ამის პარალელურად, ის გაიძვერა წამს არ უშვებდა ჩემი თარჯიმნის გადაბირება რომ არ ეცადა და ფულს სთავაზობდა, რათა ჩემს თარჯიმანს საქონლის ყიდვაზე დავეყოლიებინე. ჩვენ ისევ ვიწყებდით მისი შემოთავაზებული ფასით და ნელა-ნელა ჩავდიოდით ქვემოთ, საბოლოოდ, უკვე არაქათგამოცლილი, რომ ვიყავი, ის ჩემს შეთავაზებას მიიღებდა და მოწყალედ მეტყოდა, რომ მან ხალიჩა კი არ მომყიდა, არამედ მაჩუქა. ხელებს ისევ შეატყუპებდა თითქოს მლოცავსო და ჩემს სამომავლო გარიგებაში იღბალს მისურვებდა. მისი ეს ლოცვა ალბათ არ ეხებოდა ჩემს და მის გარიგებას, ან არადა ჩვენ რადიკალურად განსხვა-

ვებული წარმოდგენა გვქონდა იღბალზე. ერთხელ, გარიგების დამთავრების შემდეგ, პატარა სუნამოს ფლაკონი მაჩვენა, და მითხრა, რომ უბრალო სუნამო არ იყო, არამედ წმინდა სითხე, რადგან იგი მან მექაში შეიძინა. კიდევ ბევრი ამისთანა ამბავი გადამხდა, მაგრამ ახლა მათი მოყოლით არ შეგაწყენთ თავს. ჩემს თხრობას კი იმით დავასრულებ, რომ ჩემი მოგზაურობა შეიძლება წარმატებულად და ნაყოფიერად ჩაითვალოს, რამეთუ პირდაპირი სავაჭრო კავშირი დამყარდა ნიუკასლსა და აღმოსავლეთს შორის. მოგზაურობისას გაცნობილი სპარსელი და სომეხი ვაჭრების საშუალებით შესაძლებელი გახდა ხალიჩების ყიდვა პირდაპირ პირველი ხელიდან გადამყიდველების გარეშე, რომლებიც, როგორ წესი, ფასს საგრძნობლად ზრდიან, რათა ხელი თავადაც მოითბონ. თანაც იქ, სადაც გადამყიდველია ჩართული, ხალიჩის ხარისხი და სინამდვილე ყოველთვის საეჭვოა და კარგ გადამოწმებას მოითხოვს.

აქამდე ხალიჩები ინგლისამდე შემდეგნაირად აღწევდა. ქალაქელი ვაჭრები პატარა სოფლებში და ბარაკებში დადიოდნენ, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოქსოვილ ხალიჩებს იქვე ყიდულობდნენ და თავრიზში ან თბილისში ჩაჰქონდათ, სადაც დიდ ვაჭრებზე ჰყიდდნენ, ისინი კი ხალიჩებს შავი ზღვის საზღვაო პორტებში ექპორტიორებს აბარებდნენ, რომლებსაც ნადავლი ლონდონში იმპორტიორებამდე მიჰქონდათ. ისინი საცალო და საბითუმო მოვაჭრეებს უკავშირდებოდნენ. ასე და ამგვარად, ხალიჩები გრძელ გზას გადიოდნენ და ვის ხელში აღარ ხვდებოდნენ მანამ, სანამ საბოლოო მყიდველამდე მიაღწევდნენ. პირდაპირი სავაჭრო კავშირის დამყარებით მე მთელი ეს პროცესი არნახულად შევამცირე, დავაჩქარე და თან თაღლითობის ყოველგვარი ალბათობა აღვკვეთე. მარტო ესეც კმარა, რომ მოკრძალების გარეშე ვთქვა, რომ ჩემი მოგზაურობა ნაყოფიერი იყო. კასპიის რეგიონში ჩემს საქმეებს რომ მოვრჩი, შავი ზღვისკენ გავწიე, რათა ტვირთის გაგზავნის ორგანიზაციული საკითხები მომეგვარებინა და ამით თავრიზთან და კონსტანტინოპოლთან ურთიერთობისათვის ჩამეყარა საფუძველი, რის შემდეგაც ვალმოხდილი და დამშვიდებული დავბრუნდი შინ, ავსტრიისა და მდინარე რაინის გავლით. შეიძლება შავ ზღვას გერმანული ოკეანისოდენა ჟანგბადი არ აქვს, მაგრამ ცხელი კასპიის ზღვის მერე ქანცგაწყვეტილი მგზავრისთვის მეტად საამურია. მდინარე რაინის სილამაზეზე უკვე იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ აქ რამის დამატებას აზრი არ აქვს და მკითხველსაც ახლით ვერაფრით გავაკვირვებ. მაგრამ როგორი ლამაზიც არ უნდა იყოს რაინი და მომაჯადოებელი აღმოსავლეთი, ინგლისში ჩასულს ერთიც და მეორეც გავიწყდება, იმიტომ, რომ არაფერია ქვეყნად სახლზე ლამაზი და ჯადოსნური.

ილუსტრაციები:



1. მდინარე რიონი

2. თბილისი, სასახლის ქუჩა

3. ქართველი ქალი



4. ნარიყალა

5. ხალიჩებით ვაჭრობა დაღესტანში

6. აქლემების ქარავანი სპარსეთში

7. დაღესტნური ხალიჩა

8. ქურთი დიდგვაროვანი აღმოსავლეთ ქურთისტანში

9. თურქომანი ქალები

GROUP OF TURCOMANS.

10. თურქომანი კაცები